№ 82 აპრილი 14, კვირა | 1891 | აპრილი 14, კვირა № 82


**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი — ერთი შაური


# ივერია


გაზეთის დასაკვეთად და ყველა განცხადების დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას გუკიაში, აგშალის ქუჩა, ი. ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1891 **საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი** 1877—1891


---

კნეინა ნინო სულხანის ასული და თავადი გასილი რევაზის ძე მაჩაბელი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა — პირველი ქმრისა და მეორე ძმისა — თავადის **ივანე რევაზის ძის მაჩაბლის** გარდაცვალებას და სთხოვენ მობრძანდნენ განსვენებულის დასაფლავებაზედ დასასწრებლად 16 აპრილს სოფ. ქურთას, გორის მაზრაში. (1—1)

---

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

**ტფილისში:** ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

**ტფილისს გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:**

**Въ Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".**

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელი იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთს სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

---

გამგე კომიტეტი „ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოების შეუძლებელ მოსწავლეთა შემწეობისათვის" უმორჩილესად სთხოვს ზემოხსენებულ საზოგადოების წევრთ მობრძანდნენ საზოგადო კრებაზედ ამა 1891 წლის 19 მაისს, საღამოს 7 საათზედ, სათავად-აზნაურო ბანკის სადგურში.

განსახილველი საგნები:

1) წლიური ანგარიში საზოგადოებისა 1890 წლის პირველ აპრილიდგან 1881 წლის პირველ აპრილამდე; მოხსენება გამგე კომიტეტისა ტფილისის სათავად-აზნაურო სკოლის აწინდელს მდგომარეობაზედ.

2) ხარჯთ-აღრიცხვა ამ 1891 წლის პირველ მაისიდგან მომავალ 1892 წლის პირველ მაისამდე.

---

## ახალი ამბავი

*** ხვალ საღამოზე საბჭოს მოხსენდება სხვათა შორის ქალაქის გამგეობის აზრი საფინანსო კომისის მოხსენების შესახებ ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვისა. ამ კომისიის აზრი ამას წინად მოვიხსენიეთ ჩვენს გაზეთში; ისიც აღვნიშნეთ, თუ რა ცვლილება მოახდინა ამ კომისიამ გამგეობის მიერ შედგენილს ხარჯთ-აღრიცხვაში.

საფინანსო კომისიას ჯერ ხანად მარტო ეს ნაწილი აქეს ამ 1891 წლის შემოსავალ გასავლის ანგარიშისა წარმოდგენილი საბჭოს განსახილველად, რადგან კომისიას უგვიანდება მთელის ანგარიშის განხილვა და თავის მოსაზრების დასკვნა. წარსულ ორშაბათის კრებაზედ კიდეც უსაყვედურა გამგეობას ამ კომისის თავმჯდომარემ ხმოსანმა მ. თამამშევმა: ჩვენიერ წარმოდგენილ აზრს ქალაქის ხარჯთ აღრიცხვის შესახებ რატომ აქამდე საბჭოს არ მოახსენებთო. გამგეობამ უპასუხა მაშინ, რომ ჩვენი აზრიც უნდა დავასკვნათ კომისიის მოხსენების გამო და ისე წარუდგინოთ საბჭოსაო და, აი, ორშაბათის კრებას კომისიის აზრთან გამგეობის აზრიც მოხსენდება.

ქალაქის გამგეობა ამბობს, რომ საფინანსო კომისია შემცდარია, როცა ამ წლის მთელის ანგარიშიდამ მარტო ხარჯთ-აღრიცხვის შესახები ნაწილი ამოუღია და ამას არდგენს საბჭოს განსახილველად. ეს არ ვარგაო იმიტომ, რომ ამ აღრიცხვაში აუცილებლად უნდა ჰქონდეს მონაწილეობა იმ გამგეობას, რომელიც მომავალში უნდა შესდგეს და ჯერ-კი შემდგარი არ არისო. ამ აღრიცხვაზეა დამოკიდებული თვით გამგეობის მოქმედებაც მომავალშიო, და ის პროგრამა, რომელსაც გამგეობა წარმოადგენს ქალაქის საკეთილოდ, პირ-და-პირ დამოკიდებული უნდა იყოს თვით აღრიცხვაზედაო, რადგან ამაში უნდა გამოცხადდეს მომავალის გამგეობის შეხედულობა თავის მოვალეობის შესახებაო. „მართალიაო, — დასძენს გამგეობა, — რომ ეს პროგრამა თვით საბჭოს შეუძლია გამგეობას უძღვნას, მაგრამ, სამწუხაროდ, საფინანსო კომისია სრულებით არ ეხება ამას თავის მოხსენებაში და ამისათვის ამას უნდა მოველოდეთ თვით ახალის გამგეობისაგანაო, რომელმაც უნდა გამოაშკარაოს თავის განზრახვა თვით ქალაქის ხარჯ-აღრიცხვის შედგენაში". გამგეობა იმ აზრისაა, რომ საბჭომ უნდა განიხილოს მთელი ანგარიში ამ წლის შემოსავალ-გასავლისა ერთად და არა მარტო ნაწილი მისი, რადგან მხოლოდ ამ ნაირად შეიძლება ხარჯთ-აღრიცხვის ნაწილების ერთმანეთთან შედარებით შემოწმებაო, რის გამოც სთხოვს საბჭოს, დაადგინოს შემოსავალ-გასავლის ანგარიში ერთად განიხილოს და არა დანაწილებით; ამასთანავე ამ განხილვაში მონაწილეობა ჰქონდეს მომავალ გამგეობასაო, ან არა-და, ახალს ქალაქის თავს მაინცაო. ეს საქმე დაგვიანდება სულ ბევრი ერთის თვით და ქალაქი ამით ზარალს არ ჰნახავს, რადგან, საფინანსო კომისიის დასკვნასაც რომ მივყვეთ, ერთი თვის ხარჯის შემოკლება არ აღემატება 721 მან. და 66 კაპ.

ვინიცობაა, საბჭო შესაძლებელად დაინახავს საფინანსო კომისიის მიერ წარმოდგენილის მთელის ანგარიშის ნაწილის განხილვას, ახალის გამგეობის დაუსწრებლად, იმ შემთხვევაში ქალაქის გამგეობა სთხოვს საბჭოს, კომისიის მოხსენების გარჩევა გადიდოს 29 აპრილისათვის და ამ დღისთვის ეხლანდელი გამგეობა წარმოადგენს დაწვრილებით თავის აზრს შესახებ იმისა, თუ რატომ არ ვარგა საქმისათვის მთელის წლის ანგარიშის ნაწილის წარმოდგენა საფინანსო კომისიის-მიერ.

*** ამ დღეებში ცნობა მოვიდა, რომ ზესტაფონიდამ ჭიათურამდე რკინის გზის გაყვანა საბოლოოდ დამტკიცდა და ამ ორ თვეში კიდევაც შეუდგებიან მუშაობას, როგორც განზრახული იყო, გზა იქნება ვიწრო ლიანდაგისა და იმის აგება ჩაბარებული ექნება ინჟინერს გლეზერს, რომლის ზედამხედველობის ქვეშ ამ ჟამად შენდება ახალი ლიანდაგი სურამის გვირაბის იქითა მხარეს.

*** მთავრობის განკარგულებით, ამას იქით რკინის გზით სუბუქის საქონლის გაგზავნა ერთი ორად იაფად დაჯდება, ვიდრე დღემდე იყო.

*** გუშინ, ამ თვის 13, გუნიბის მეიდანზე კავკასიის ჯარის დეკანოზმა მამა გუმილევსკიმ აკურთხა სამხედრო ტაძრის საძირკველი. კურთხევაზე დაესწრო კავკასიის მთავარ-მართებლის თანაშემწე გენერალ-ლეიტენანტი გრაფი ტატიშჩევი და გენერლობა სამხედრო და სამოქალაქო უწყებისა.

*** შილდა (თელავის მაზრა): შემოდგომიდგან დაწყობილი, აქამომდე ჩვენსკენ გამოულეველია სხვა-და-სხვა გვარი ავადმყოფობა, რომელმაც ძალიან გვაზარალა და შეგვაწუხა. ჯერ იყო ციებ-ცხელება; ამას მოჰყვა მჭვალი; შემდეგ დაერთო ზედ ქუნთრუშა, რომელმაც მუსრი გაავლო წვრილფეხობას; ამ ჟამად კიდევ მძვინვარეობს რაღაც უცნაური და გამოურკვეველი სენი, რომელიც ვერ აგვიხსნია, საიდგან და რა ნაირად წარმოსდგება. ეს სენი შეკრჟოლებით იწყება, მერე მოსწრაფებულს ანთებას და პირიდგან საქმობას უჩენს და ბოლოს ენის ჩავარდნით, უცბად, ერთ ორ დღეში, ბოლოს ულებს კაცს. ასე გასინჯეთ, თითქმის ყოველ-დღე გამოულეველია აქ მიცვალებული და ზოგჯერ დღეში ორი და სამია დასასაფლავებელი. მოხდება ისეც რომ ერთსა და იმავე ოჯახში რამდენიმე სული რიგ-რიგით ავადმყოფობს. ეს ავადმყოფობა მკურნალმა მჭვალს დააბრალა (ფილტვების ანთებას) და თბილის ამინდების წყალობით მალე გაქრებაო. ეს არის ჩვენი უბედურება, რომ მკურნალი შორსა გვყავს და ამის გამო ყველასათვის შესაძლებელი არ არის მისი

---

# ფელეტონი

### ტეტია და ტირაკუზა

(მიბაძვა)

ვახშმობისას ჩვენის ტყის პირს  
ცეცხლი წითლად გიზგიზებდა,  
ორი მგზავრი მოსჯდომოდა,  
ცეცხლზე მწვადი შიშხინებდა.  
ერთი მგზავრი სომეხს ჰგვანდა  
და მეორე — ქართველს ხნიანს,  
ორთავ ძალზე მოჰშიებოდათ,  
შეჰხაროდნენ მწვადსა მცვრიანს.  
სომეხმა სთქვა თავის გულში:  
გავაბრიყვებ როგორმეო,  
და ამ მწვადს მთლად გამოვცინცლავ,  
შევექცევი მარტო მეო.  
სთქვა ესე და ღრმად ჩაფიქრდა,  
გაილესა ფლიდი ენა,  
მერე ქართველს მიუბრუნდა  
და წარბ-შეკვრით მოახსენა:  
„მოდი, ტეტი, ვინც რომ ჩვენში  
კაი სიზმარი ნახოსო,  
ეს მწვადიც მთლად იმას დაჰრჩეს,  
იმან დაისაკუთროსო."  
„კარგიო," უთხრა ტეტიამ.  
მწვადი ჩახჭრეს ქვაბ-ქოთანში,  
მიდგეს ცეცხლთან, და თითონ-კი  
მიწვნენ, გაერთნენ ბურანში.  
მითომ მძინავსო, სომეხი  
ძალზე ხვრინავს, თავს იმკვდროებს,  
მაგრამ, — ძაღლია მურია! —  
რაღაცას ფიქრობს, იგონებს.  
ჩუმად წამოდგა ტეტია,  
მიუცუცქდა ქვაბ-ქოთანსა,  
სომეხს ზურგი შეაქცია  
და ისე დარჩა დილხანსა.  
ბოლოს წამოხტა სომეხიც  
წელ-კურტუმისა რხევითა,  
„პაჰ! პაჰ! პაჰ! პაჰ! რა ვნახეო,"  
ჰყვიროდა თავის ქნევითა:  
„ვითომ, — გესმის? — მეფე ვიყავ,  
ვებძანე ოქროს ტახტზეო,  
ნაზირ-ვეზირნი ბუზივით  
დამტრიალებდნენ თავზეო.  
ერთიც ვნახოთ, — ჰაჯან ბიჭო! —  
მსახურთ მომართვეს რაშიო,  
შევჯექ და უმალ ავფრინდი  
მაღლა მთვარესთან ცაშიო.  
იქ ანგელოზნი დამხვდნენ,  
„ხაბარდას" იძახოდნენო,  
მრავალნი უკან მომდევდნენ  
და „ურას" მომძახოდნენო:  
„ურა, ურა ტირაკუზას,  
ოქრო-ვერცხლის პატრონსაო,  
განი! განი! გზა მიეცით  
მრავალ-ყმების ბატონსაო!"  
გავიბერე, გავიბლინძე  
მათი ქება-დიდებითო,  
ხურჯინიდამ მარგალიტი  
გადვაბნიე ღიმილითო.  
დაესივნენ მარგალიტებს,  
ყურთა-გლეჯა ასტეხესო,  
აღარავინ არ გამომყვა,  
მთლად თავი დამანებესო.  
ბევრი ვინაწე, ვიჯავრე,  
მაგრამ რაღას ვიზამდიო,  
რაშს მათრახი ამოვაწან,  
ისარივით გავფრინდიო.  
მიველ სამოთხის კარებთან,  
ჯერ სულაც არ მიღესო,  
მაგრამ ქისა დავანახვე —  
ფიცხლავ კარი გამიღესო!  
შეველ ბაღში, ბოლთას ვცემდი  
შუბლ-შეკრული სახითაო,  
ყველა ტოკდა და მორცხობდა  
ჩემის მისვლა-ნახვითაო.  
წმინდანები გულით მთხოვდნენ,  
ტირაკუზ, აქ მობძანდიო,  
მეც მიველ და ოთხ-ხელმწიფის  
ბროლის ტახტზე დავბძანდიო.  
მზე და მთვარე თავს დამადგა,  
ძირს ვარსკვლავნი მეფინაო,  
მეფეები დავიმონე,  
დედოფლებთან მეძინაო...  
აბა, ძმაო, გავათავე,  
მითხარ: შენ რაღა ჰნახეო?"  
„— ბატონი ხარ, ტირაკუზ-ჯან,  
ეხლავ გეტყვი რაც ვნახეო:  
შენ რო ცისკენ მიჰფრინავდი,  
არ მეძინა მაშინ მეო;  
ვსთქვი: ის აქ აღარ ჩამოვა,  
და მწვადი მთლად შევჭამეო.  
მაგრამ, შენ რომ კაცი იყო,  
არ ვიზამდი ამასაო,  
ჩემს წილს მწვადსაც შენ გაჭმევდი,  
დავლოცდი შენს მამასაო.  
ნუ ხარ ცბიერი, ტირაკუზ,  
ნუ იცი ტყუილებიო,  
აჰა, მოლოკე ქოთანი  
და ნუ დამემდურებიო.  
დაეხსენ მოღალატობას,  
მიძმე და გიძმობ მეცაო,  
და ვინც რომ ჩვენში იმტყუნოს,  
მას თავს დაექცეს ზეცაო!"  
„ამინო"! — უთხრა სომეხმა,  
დამალა გულის იარა.  
წავიდნენ და მე იმათი  
აღარა გამიგია-რა...

II

ღმერთმა ქნას ძმურად ვცხოვრნოთ,  
არ გავტეხოთ ფიცია,  
ამბრები ფქვილით ავვსოთ,  
არ აკლდეთ ღვინო, ჩიჩია;  
თუ გვწამს ღმერთი და სიმართლე,  
სუყველა შესაძლისია,  
მტრობა, შური და ღალატი —  
რა კაცის საკადრისია?!  
ძმები ვართ ქართველ სომეხნი,  
აღზრდილნი ერთის ენითა,  
ვინ იცის, ჩვენსა დედებსა  
ჩვენის ავისა სმენითა  
რამდენი ცრემლი უღვრიათ  
ქვითინით, გულის წყენითა  
და როგორ მოულხენიათ  
ჩვენის ძმურისა ლხენითა!  
ნულა ვატირებთ დედებსა,  
მომიგდეთ, ძმანო, ყურია:  
ვიკეთილსულოთ, დავწყევლოთ  
ავი თვალი და გულია,  
და ისე გავირჯულ-ღმერთოთ  
მტკიცე ერთობა ძმურია,  
რომ ანგელოზნი ჰხარობდნენ,  
ეშმაკთა ჰკლავდეს შურია!

მოწვევა, მეტადრე ღარიბთათვის. რაიცა შეეხება სამკურნალო-აფთიაქს, ამან ხომ, ეგონებ, თავის დღეში ვერ ელირსოს ჩვენი ხალხი, თავის დაუდევრობისა და უზრუნველობის გამო. აი სწორედ ეს გარემოებაა მიზეზი, რომ ხალხი ახე უიმედოდ და უნუგეშოდ იჟლიტება, ნამეტნავად ცუდ ამინდების დროს. დიდმარხვის დამდეგს, მაგალითად, ზემოდ აღწერილის უეცრის ავადმყოფობით, დღენახევარში გარდაიცვალა ერთი აქაური მემამულე, თ. გურგენ გურგენიძე; სწორზე გარდაიცვალა, დიდის მწუხარების შემდეგ, ორი კვირის მშობიარე, მისი მეუღლე და კიდევ მეორე სწორზე—მათი ვაჟიშვილი; დარჩათ მათ მხოლოდ ორი პატარა ქალიშვილი. განსვენებული თავადი დიდად დააკლდა ჩვენს ხალხს, რადგანაც ყველას პატივის-მცემელი იყო, გულ-უხვი, გაჭირვებულის შემწე, ხათრიანი და თავაზიანი, დიდი მეპურმარილე ახალგაზდა ოჯახის-შვილი. განსვენებულს, როგორც საიმედო კაცს, დიდის პატივისცემით, სიყვარულითა და ნდობით ეპყრობოდნენ ყველანი. საზოგადოება ბევრ-გვარ თვისს საქმეებში ირჩევდა წინა-მძღოლად, მეთაურად და მფარველად. განსვენებული ობლობასა და უპატრონობაში აღიზარდა და ცდილობდა თვისი ძველი ოჯახი როგორმე ფეხზედ დაეყენებინა და თავის სოფელშიაც სიკეთე რამ დაეთესნა, მაგრამ სიკვდილმა უდროვოდ გამოასალმა ამ წუთის სოფელს.

*** სამტრედია. ჩვენს სამტრედიას კარგი ბედი მოელის, როგორც ეტყობა. ეხლა აქ შენდება რკინის-გზის დეპო, რომელშიაც უნდა იდგეს ორმოც-და-ჩვიდმეტ მატარებლამდე; შიგვე უნდა იყოს გამართული სახელოსნოები და სხვ.

ეს დაბა დღითი-დღე იზრდება, მატებასა და წარმატებაში შედის. კვირა არ გავა თითქმის, რომ ახალი ქვითკირის დუქანი არ გადიჭიმოს და შიგ სხვა-და-სხვა გვარი ვაჭრობა არ გაჩაღდეს. ერთი რამ აწუხებს და აფერხებს მის ზრდა-წარმატებას: უსუფთაობა და წუმპეები, რომელიც გუბეებად სდგას თხრილებში, აფუჭებს ჰაერს და ავრცელებს ციებ-ცხელებას. ამის გარდა ხშირია აქ ყოველ-გვარი ჩხუბი და ვაი-ვაგლახი. ჩხუბის თავნი არიან ის უსაქმურნი, რომელნიც ახლო-მახლო სოფლებიდამ იყრიან აქ თავს საქეიფოთა და დროს გასატარებლად. ამას წინად აქ დიდი ჩხუბი და აყალ-მაყალი მოახდინეს ვიღაც მთვრალმა ლოთიბაშებმა, რომელთაც გაუსვეს მედუქნეებს ხელი, ამტვრიეს და ჰლეწეს, რაც რამ მოხვდათ ხელში და ბოლოს ცემა-ტყეპაც ასტეხეს. ამ ჩხუბში ერთს ლოთიბაშთაგანს ისე სცემეს, რომ საეჭვოა მისი გადარჩენა. სასურველია, რომ სასტიკი ყურადღება ჰქონდეს მიქცეული ამ დაბაში ჯერ სისუფთავის დაცვას და მერე წესიერებისას. უამისოდ დაბა ბევრს დაჰკარგავს, ზარალში ჩავარდება და, იქნება, წარმატების მაგიერ, უკან-უკან წავიდეს თანდა-თან.

*** ოსეთი: სოფ. ხუმელაგაში თანდა-თან იკლო ქურდობამ და ცარცვა-ავაზაკობამ. ძველი მამასახლისი, რომელსაც ხალხმა უჩივლა მაზრის უფროსთან, გამოცვლილ იქმნა და მის მაგიერ დაინიშნა ახალი, ყაზახი რუსისა. ერთი მოთავე ქურდობისა უკვე გამოემშვიდობა ჩვენს აქა-მარიეს: კავკავის ოლქის სასამართლომ გადუწყვიტა ციმბირი. მეორე კიდევ ჩვენში დარჩა, მაგრამ იმასაც მალე აჰბარგავენ.

*** 12 აპრილს თედორე ბელოხოვმა პოლიციაში გამოაცხადა, რომ არშაკუნოვის ქუჩაზე სადგურის ღია ფანჯრიდგან პალტო და სურა მომპარეს ღირებული 35 მანეთადაო.

### რა შეუძლია ერთის ადამიანის საქმიანობას?

ვინ არ იცის, რომ მარტო ოცნებობა მავნებელია, მით უმეტეს, როცა მას ხელ-ჩასაკიდი საგანი და აზრი არა აქვს. ესეც ხშირად ჰხდება, რომ ზოგჯერ ოცნება კაცს თუ არაფერს შესძენს, წართმევით მაინც არაფერს წაართმევს, რასაკვირველია, თუ კაცის ცხოვრება მარტო ოცნებობაში არ გადის. ამ ჯურის ხალხი-კი ნეტარხსენებულის ლუარსაბის დროს თუ იქნებოდა, თორემ ჩვენს დროში იშვიათი მოვლენა უნდა იყოს. გარდა ამისა, პირ-იქით, შეიძლება ვიფიქროთ, რომ რომელიმე ოცნება ადრე თუ გვიან ნიადაგს იპოვის და ფიქრად გადაიქცევა, ხოლო ფიქრი-კი საქმედ. ამიტომ, იმედია, მოგვიტევებს მკითხველი, რომ ჩვენი ქვეყნისთვის მართლა საოცნებო სწავლა-განათლების შესახებ გვექნება ქვემოდ ლაპარაკი. სხვა რომ არა იყოს-რა, გავიგებთ მაინც, რას შერებიან უცხოეთში დაბალი ხალხის იმ მოსისხლე მტრის წინააღმდეგ, რომელსაც უმეცრება ეწოდება და რომელზედაც ჩვენი მომავლის ბედ-იღბალი ჰკიდია. ამ უკანასკნელს ოცის წლის განმავლობაში საფრანგეთის სახალხო განათლების საქმეში ერთმა სახიამოვნო მოვლენამ ჩინა თავი და რამდენიმე რუსული ჟურნალ-გაზეთი კარგა ხანს ალაპარაკა. ეს მოვლენა, რომლის გამოც ზოგს რუსულს პედაგოგიურს ჟურნალს ახლაც არ შეუწყვეტია ლაპარაკი, გახლავსთ საფრანგეთის საერო განათლების ლიგის *) დაარსება ჟან-მასესაგან.

შარშან-წინ პარიჟში „საერო განათლების საქმეში კერძო მოღვაწეთა კრება“ იყო. მეთაურობა და ხელმძღვანელობა ამ კრებისა ეკუთვნოდა ხსენებულს „სახალხო განათლების ლიგას,“ რომელსაც ჟან-მასე ეხმარებოდა და ჰშველოდა. ეს კაცი თავდაპირველად სოფლის მასწავლებლად იყო და იმ დროს მოჰკიდა ხელი ამ საქმეს. ჟან-მასე, რომელიც ამ ჟამად ცნობილი სენატორია და რომელსაც მთელს საფრანგეთში დიდი სახელი აქვს მოხვეჭილი, მუშა-კაცის შვილია. ახალგაზრდობაში ის სოციალისტთა მოძღვრებას მისდევდა. ერთს არეულობაში მონაწილეობა მიიღო, რის გამოც იძულებული გახდა პარიჟიდამ ნორმანდიაში გადახვეწილიყო, სადაც მასემ გვარი გამოიცვალა და რამდენსამე ხანს სხვისი სახელით სცხოვრებდა. როცა პარიჟში დაბრუნდა, მასემ შეჰნიშნა, რომ ცხოვრებას იქ ფერი და იერი მიეღო, ამიტომაც პოლიტიკურ საქმეში გარევა საჭიროდ აღარ დაინახა.

*) ლიგა—კავშირი, წრე, საზოგადოება.

შეეკედლა ერთის ჟურნალის რედაქციას, რომელმაც ის დაბა-სოფლებში გაჰგზავნა კორესპონდენტების მოსაპოებლად. ამ მოგზაურობამ, როგორც თვითონ მასე ამბობს, დიდი გავლენა იქონია იმის შემდეგს მოღვაწეობაზე. ის მოგზაურობდა ქვეითად, ერთი დაბა-ქალაქიდამ მეორეში გადადიოდა, მეორიდამ—მესამეში და იმავე დროს ხშირად სოფლებშიაც რჩებოდა. ამ გვარად მასემ დაბა-სოფლებსა და პატარა ქალაქებში საკუთარის თვალით ნახა დაბალის ხალხის ცხოვრება, დაუკვირდა იმის ავ კარგიანობას, გაიცნო კარგად ხალხის საჭიროება, იმისი ტკივილი და სურვილი, რის შემდეგაც დარწმუნდა, რომ ხალხი მართლა დიდს უმეცრებასა და ვაი-ვაგლახშია ჩავარდნილი. მასე ცხადად მიჰხვდა, რომ ხალხის წარმატების უმთავრესი მტერი ყოფილა უმეცრება და ის გარემოება, რომ დაბალ ხალხს მტერ-მოყვარე ერთმანეთისაგან ვერ გაურჩევია. სწორედ ამ დროს გადასწყვიტა მან, რომ ხალხის განათლების საქმეს თავი უნდა შეეწიროს. მაგრამ თავის აზრების განხორციელებას ის შეუდგა მხოლოდ რამდენისამე წლის შემდეგ. შეასრულა თუ არა რედაქციის მინდობილება, მასემ ცოლი შეირთო და ხეტიალსა და აქეთ-იქით მოგზაურობას თავი დაანება. ელზასის ერთის პატარა სოფლის ქალების პანსიონში მასწავლებლის ადგილი იშოვა და პოლიტიკური საქმეები ამ დღიდამ გვერდზე გადასდო. იმის აზრით პოლიტიკური მოღვაწეობა ჯერ-ჯერობით უადგილო იყო. მოშორებული ქალაქის ხმიან ცხოვრებას, მასე ერთს მივარდნილს სოფელში ათი წლის განმავლობაში მასწავლებლობდა და თან საყმაწვილო წიგნებსაც ადგენდა. მის მიერ შედგენილს წიგნებში ყველაზედ უფრო დიდი სახელი „ლუკმა-პურის ისტორიამ“ მოიპოვა.

მაგრამ მასეს მუყაითობითა და ძალ-ღონით სავსე ბუნება მარტო პირველდაწყებითი სკოლაში მოღვაწეობით ვერ დაკმაყოფილდებოდა. იგი „ზემო-რეინის საზოგადოების სასოფლო წიგნსაცავეთა“ დაფუძნებას შეუდგა. დანიშნულება და საგანი ამ საზოგადოებისა იგივე იყო, რაც შემდეგ. მასეს მეორე უფრო სასარგებლო და დიდებულს საქმეს—„სახალხო განათლების ლიგას“ საძირკვლად დაედო. სულ პირველად სახალხო წიგნ-საცავეთა დაარსება საფრანგეთში თვითონ მთავრობამ მოინდომა, რომელმაც, როგორც ქვემოდ დავინახავთ, ამ საქმეს მარტო წკიპარტი ჰკრა, და ამით, რასაკვირველია, ძირაც ვერ უყო. 1850 წელს რესპუბლიკის პრეზიდენტის, ლუი ნაპოლეონის, მფარველობით საქველმოქმედო საზოგადოება შესდგა. საზოგადოების წევრად ყველა მაღალი წოდებისა იყო. ასეთ წევრთ ხალხის ცხოვრების ავან-ჩავანი სრულიად არ გაეგებოდათ, საგანი ამ საზოგადოებისა იგივე იყო, რაც ზემოთ მოვიხსენე, ე. ი. წიგნთ საცავების დაარსება სოფლებში. მაგრამ ხალხის ავ-კარგიანობის უცოდინარობის. გამო ეს საქმე უნაყოფოდ გათავდა. საზოგადოება დაიშალა და საქმე შეჩერდა. იმის შემდეგ დაარსებულს საზოგადოებას კი სულ სხვა დედა-აზრი ჰქონდა: იმას უნდოდა, სოფლის მკვიდრთა შორის კერძოდ საქმის დაწყების სურვილი გაევრცელებინა, რათა ხალხს სოფლებში წიგნთ-საცავის დაარსება თვითონვე ეტვირთნა თავის ხარჯით. საწევრო ფულად წელიწადში 5 ფრანკი იყო დანიშნული (ფრანკი 25 კაპ.). თავი-და-თავი მოქმედება ამ საქმეში ადგილობრივ წევრებს ჰქონდა მინდობილი, თვითონ საზოგადოება-კი, მასეს რჩევით, მხოლოდ საქმეს ჰმეთაურობდა.

აი, რას ამბობს მასე თავის წერილში სასოფლო წიგნ-საცავეთა შესახებ: „განხორციელება ამ საქმისა დაიწყეს ზემოდამ (ე. ი. მთავრობამ), მაგრამ პირველი კვერი პურისა კუტი გამოდგა. ეხლა თვითონ ჩვენ მოვკიდოთ ხელი საქმეს და ვსცადოთ ასრულება იმისა, რაც მთავრობამ ვერ შესძლო. რომ სოფელში სწავლამ ფეხი მოიკიდოს, საჭიროა, ხალხში ტრიალებდე, ჰქადაგებდე ერს, და ცოცხალი სიტყვით ჰმოქმედებდე..“ „ზემო-რეინის სასოფლო წიგნ-საცავეთა საზოგადოებას“ ის-კი არა აქვს აზრად, რომ სოფლელებს, მათ-და უზრუნველად, მზა წიგნ-საცავები და-

---

გვისმინე ცოდვილთ, უფალო,
იესო მშვიდობიანო,
ჩვენთვის ტანჯულო, ჯვარცმულო,
ნათელო სამართლიანო!
გვეხსენ, მაცდურო, წყეულო,
ეშმაკო, ავო ზნიანო,
არ გვეხდით სულსა საშენოდ,
შორს ჩვენგან, ღალატიანო!
ძმას ძმისა მოღალატესა
გაუშხამდება დღენია:
აქ სიპირშავე დასტანჯავს
და იქ ღვთის რისხვა-გენია.
ნეტავ შენ, სულო მართალო,
შენ მადლი ღვთისა გფენია,
სიხარული და სამოთხე
აქაც და იქაც შენია!

დ. მაჩხანელი

### მოკლე მიმოხილვა ჩვენი საღმრთო და საეკლესიო წიგნების მდგომარეობისა

(შემდეგი. იხ. „ივერია“ № 81)

VII

„ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოება“ დაარსდა 1804 წ., ლონდონში, გასავრცელებლად სიტყვისა ღვთისა თვინიერ რაისამე განმარტებისა ანუ ახსნისა. 1890 წლამდე ამ საზოგადოებას დაუხარჯავს 100 მილიონი მანეთი გადათარგმნისა, დაბეჭდვისა და გავრცელებისათვის საღმრთო წერილისა, და გაუსაღებია 116 მილიონზედ მეტი წიგნი დაბადებისა. ახალი აღთქმა და მისი ნაწილები საზოგადოებას გაუვრცელებია თავის წიგნთა-საწყობიდამ 286 ენასა და მათ სხვა-და-სხვა შტოზედ თარგმნილი.

მთელს ხმელეთზედ არ მოიპოვება არც ერთი უპცირესი მხარე, რომელზედაც არა ჰქონოდეს ამ საზოგადოებას თავის ნაყოფიერი გავლენა. საზოგადოებას ჰყავს თავისი აგენტები ევროპის ყოველს კუთხეში. ამ საზოგადოების შემწეობით მიეცათ საშუალება და თავიანთ სამშობლო ენაზედ ელირსნენ საღმრთო წერილის წაკითხვას მრავალნი ერნი: სირიელნი, სპარსელნი, ინდოელნი, ჩინელნი, ესკიმოსნი და სხვანი მრავალნი. გარდა სხვა-და-სხვა დაწესებულებათა, სადაც სანუგეშებელს და სულისა და გულის გასართობ წიგნად იხმარება საღმრთო დაბადება, როგორც მაგალითებრ სას წავლებელსა, საავად-მყოფოებსა, საპატიმროებსა, სასტუმროებსა, გემ-ხომალდებში და სხვაგან, ბრიტანიის საზოგადოება ურიგებს უფასოდ სულისა და გულის მანუგეშებელს წიგნებს ღარიბ-ღატაკებს, დავრდომილებს, სნეულებსა და სხვა.

საღმრთო წიგნების სტამბა ამ საზოგადოებას გარდა ინგლისის ქალაქებისა—ლონდონისა, ოქსფორდისა, კემბრიჯისა—და ევროპის ქალაქებისა—პარიჟისა, ბრიუსსელისა, ამსტერდამისა, ბერლინისა, ლეიპციგისა, ვენისა, რომისა, მადრიდისა, ლისაბონისა, კოპენჰაგენისა, სტოკჰოლმისა და კონსტანტინეპოლისა,—აქვს კიდევ დანარჩენ ქვეყნების ადგილებშიაც, როგორც მაგალითად ბეირუთსა, ბომბეასა, მადრასსა, კალკუტასა, შანჰაის, კაპშტადასა, სიდნეიში და სხვ. მარტო ერთის ლონდონის წიგნთ-საწყობიდამ ასაღებს ყოველ დღე 6000 წიგნს, ხოლო დანაშთენ სამხლეარ გარეთელ საწყობიდამ უფრო მეტს.

იმას გარდა, რომ ბრიტანიის საზოგადოებას დედამიწის ყოველს კუთხეში ჰყავს თავისი აგენტი, კორესპონდენტი და აქვს წიგნის საწყობი, გარდა ამისა ჭშველის აგრეთვე თითოეულს სამისსიონერო დაწესებულებას, რაც უნდა მივარდნილს კუთხეში არსებობდეს ესეთი დაწესებულება. თუ ვინიცობაა რომელსამე ერს არა აქვს თავის საკუთარი ანბანი და ლიტერატურა, ბრიტანიის საზოგადოება თავის ხარჯით ურდგენს ანბანს, უთარგმნის საღმრთო წიგნებს, აბეჭდვინებს და წარმოუდგენელის სიიაფით ჰყიდის ხალხში და ამ სახით ავრცელებს სიტყვას ღვთისას. დავიჯეროთ, რომ ამისთანა საზოგადოებამ ყველა კუთხეში გაავრცელა საღმრთო წიგნები და ჩვენს კურთხეულს ქვეყანას-კი ვერ მიაგნო?! დაბადებას ჰკითხულობს დღეს ესკიმოსი, რომელსაც თავის საკუთარი ლიტერატურა არა აქვს, ქართველი-კი მოკლებულია საშუალებას იყიდოს ეს სანუგეშებელი თითოეულის ქრისტიანისთვის წიგნი და მოკლებულია იმიტომ, რომ ძვირადა ჰღირს. აღნიშნული საზოგადოება მეგობრულის სიყვარულით სთხოვს ყოველგვარს საქველ-მოქმედო დაწესებულებას, გაურჩევლად სარწმუნოებისა და თვითონაც ისარგებლოს ძვირფასის საუნჯით, რომლის გავრცელებასაც ეს საზოგადოება ცდილობს. როგორ ისარგებლა ამისთანა სასიქადულო და სანუკარის განზრახვით აღნიშნულის საზოგადოებისა დაარსებულმა 1860 წელს „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ?“ ადგილობრივმა საზოგადოებამ როგორ და რაში გამოიყენა მაგალითი და გამოცდილება უცხო ქვეყნელ საზოგადოებისა?

წინადვე უნდა ვიცოდეთ, რომ ბრიტანიის საზოგადოებას რუსეთში ხუთი ქალაქი აქვს ამორჩეული თავის წიგნთა საწყობად: ოდესა, სადაც საზოგადოებას აქვს თავი-და-თავი საწყობი და ჰყავს უფროსი მმართველი ყველა საწყობთა რუსეთის სახელმწიფოში; კიევი, ხარკოვი, როსტოვი დონისა და ჩვენი ტფილისი. ტფილისის წიგნთ-საწყობში (გოლოვინის პროსპ., სახლი ზუბალოვისა) ბრიტანიის საზოგადოება ამ ჟამად ჰყიდის დაბადებას შემდეგ ენებზედ:

| | | მ. კ. |
|---|---|---|
| 1. | ებრაული და რუსული | 3—20 |
| 2. | რუსული . . . . | 2—50 |
| 3. | თურქული . . . . | 2—50 |
| 4. | ბერძულ-თურქული . | 2—„ |
| 5. | ბერძული . . . . | 2—„ |
| 6. | ბოლგარული . . . | 1—50 |

უარსოს,—არა, მან მხოლოდ უნდა წაახალისოს, შეაგონოს სოფლის ხალხს, რათა ხალხმა თითონვე გაჰმართოს წიგნ-საცავი. რასაკვირველია, მეთაურობა და საქმის დაწყება უსწავლელ გლეხებს, რომელთა რიცხვი მეტია სოფელში, არ შეუძლიათ; ამიტომ ჩემს სიტყვას მივმართავ სოფლის უფრო განათლებულს ნაწილს: ექიმებს, მასწავლებლებს, მღვდლებს, ნოტარიუსებს, მემამულეებს და სხვ.. ყოველს სოფელში მოიძებნებიან ისეთი წარმომადგენელნი სოფლის ინტელიგენციისა, რომელნიც წიგნ-საცავების დაარსებას და საზოგადოდ სწავლა-ცოდნის გავრცელებას ხალხში ისე უნდა უცქეროდნენ, როგორც ერის უმაღლესს, საღმრთო მოვალეობას". ხალხისთვის საკითხავ წიგნების გამორჩევა და შეძენა მინდობილი ჰქონდა წიგნ-საცავთა ადგილობრივ მემეთაურებს, საზოგადოება-კი თავის მხრით იმათ კატალოგებს უგზავნიდა და ცდილობდა იმათ მიერ ამორჩეული წიგნების თავის ხარჯით გაგზავნას.

ეს საზოგადოება თავის საქმეს გულმოდგინედ მოეკიდა: ერთი წლის განმავლობაში 930 წევრი ჰყავნდა და 30 წიგნთ-საცავი ჰქონდა. მასვე თავის წლიურს ანგარიშში ამბობს, რომ საზოგადოებამ უნდა გაუღვიძოს მდაბიო ხალხს სულიერი საზრდოს სურვილი და საჭიროება. „რაც უნდა იყოს, ჩვენ ვეცადოთ, ყოველს სოფელს ჰქონდეს თავისი საკუთარი წიგნთ-საცავი ისე, როგორც თითოეულს მათგანს აქვს თავისი ეკკლესია, თავისი სკოლა და თავისი თვით-მართველობა. წიგნთ-საცავი სოფლის სხვა დაწესებულებასთან ერთად ერთს მთელს რასმეს უნდა შეადგენდესო"—დასძენს მასვე იმავე ანგარიშში.

(დასასრული იქნება)

## ნამცეცი-ქუცმაცი

მიიწურა, მიილია, მიწკრიალდა და გასიფრიფანდა დიდ-მარხვა, სული ამოჰხდება ამ ორიოდე დღესაც და დიდმარხვას მოჰყვება დიდი ხუთშაბათი, დიდი პარასკევი, დიდი შაბათი, დიდი კვირა და გათენდება დღე სიხარულისა, დღე ძლევისა, დღე კეთილის გამარჯვებისა და ბოროტის დათრგუნვისა. ამ დღეს ჯვარცმულ-გვემული ქრისტე ჯოჯოხეთში შთაჰხდა, მორწმუნენი გამოიხსნა და კაცობრიობა საშინელს ტანჯვას გადაარჩინა. ამ დღეს ერთმა თავი გასწირა ათასის გაჭირვებულისათვის, თავი არ დაიზოგა, არ დაიშურა, სიცოცხლეც-კი ანაცვალა მრავალთა გაკეთილდღეობას, მრავალთა ბედნიერებას. ეს ის დღეა, როცა სამირკველი ჩაეყარა პირადის ბედნიერების უარ-ყოფას, როდესაც ძირი გამოეთხარა იმ კერას, რომ „ჩემი ურგები ქოთანი ქვასა და შეშამდი—მაღლსაო" და თუ მე არა ვყოფილვარ, ქვა ქვაზედ ნუ იბოგინებსო.

პირ-იქით, ამ დღეს საქვეყნოდ და საჯაროდ დამტკიცდა, რომ „მე" ძალიან მოკლე ბაწარი იყო და შორს მანძილს ვერ გასწვდებოდა. ამ დღეს პირველად გაისმა და განხორციელდა ქართული სიტყვა „განაცვალე", მაგრამ, რაღა თქმა უნდა, არა სახუმრად, არა საალერსოდ, არამედ შვილი შვილთა სამაგალითოდ. ერთმა კაცმა სთქვა, „განაცვალეო", და ჭეშმარიტად თავიც ანაცვალა სხვებს. მართალია, არ დაინახეს ეს სიკეთე: „მე" ისე იყო გამეფებული, რომ თავისთან „განაცვალეს" ვეღარ იტევდა, ქვეყნის მხსნელი ეჭვის თვალით შესცქეროდნენ, არ უნდოდათ ერწმუნათ და ელოდნენ, გნახოთ ერთი მკვდრეთით აღსდგება, თუ არაო, თითქოს მკვდრეთით აღდგომა იყო მარტო საქმე და სხვა არაფერი, თითქოს მკვდრეთითაც რომ არ ამდგარიყო ქრისტე, იგივე დიადი ღვაწლი და სამსახური არ მიუძღოდა უმადურ ხალხის წინაშე, რომელთაც შეუბრალებლად ჰგვემეს და აწამეს, მაგრამ მით უფრო დიდება და სახელი მაცხოვარს, რომ მრავლისათვის თავის გაწირვა გაამაგალითა და საერთო წყვდიადში აანთო ნაპერწკალი სინათლისა.

ეხლა, როდესაც კაცი კაცის, წამალი-კი არა, საწამლავია, ამ დღესასწაულის გასახსენებლად, რაკი ჩვეულებამ დააკანონა, იმაზედ უკეთესი რა იქმნებოდა, რომ ამ კვირია ან ამ დღეს მაინც ადამიანს თავისი კრუხ-წიწილა დაევიწყებინა, კერძო საზოგადოსთვის ემსხვერპლნა, „მეს" ბაწარი იმდენად გაეჭიმა, რომ ჩვენამდე გასწვდენოდა და „განაცვალეს" საერთო ფერხული დაება, მით უმეტეს, რომ სადაც ყველა ენაცვალება ერთმანეთს, იქ ყველავე სიკეთეს და ბედნიერებაშია და არავინ არაფერს ჰკარგავს. მაგრამ ეჰ, მაღლის კუდს რა გაასწორებს და ვირის კუდს ან რა გააგრძელებს, ან რა დაამოკლებს: ხალხი რაც იყო, ისევ იმ ხალხად დარჩა, ბუნებრივ არც ზნე უცვლია და არც ფერი. დიადს დღესასწაულს ფიტა გამოეცალა, შინაგანი აზრი გაუქარწყლდა და კუჭის ზეიმად-ღა გადაიქცა. კუჭის მრწამსი ჯერ ისეც გამეფებული იყო, და ნაადდგომევს ხომ თავს აიშვებს და აიგდებს ხოლმე, ფრთებს გაიფარფარებს, გვერდებს გაიდგამს, თავს გაიწურბელებს და ძღომისა, ნადიმისა და ლხინის მეტი აღარა სწამს-რა: აქაო და იესო ქრისტე მკვდრეთით აღსდგა, ჩვენ ვსვათ და ვჭამოთო. რაკი მაცხოვარმა თავი ცოდვილთათვის გასწირა, ჩვენ ნუნუს დავკატანოთ ძალა და რუმბებს სულ სიქა გამოვაცალოთო. ქრისტე რომ ეწამა და ივვემა, იმ დღეს მართლ-მორწმუნე ქრისტიანე ერი დიდს ხორაგისა და სურსათის ყიდვა-შეძენაშია; შაბათს, როცა მაცხოვარი საფლავს მიაბარეს, ჩვენი დიასახლისები ღორებს აკეთებენ, კვერცხებს ჰღებავენ და საკვირაო სამზადისში არიან. გათენდება დღეის სწორი და დაიწყება მუცლის მეფობა: მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგება, ისასწაულთ-მოქმედებს, მოწაფეებს დაარიგებს და შეაგონებს... მისი მორწმუნე ერი-კი ამ დროს განმავლობაში ამაღლებამდე სულ ლხინობს და ლხინობს: იმისი დღესასწაული ის არის, რომ თავის ოდენა კოლოტს გამოაცალიერებს და ასის კაცის სამყოფს მარტო თითონ არ იგმარებს; შეგონებას, და საზოგადოდ ყველა იმას, რომ, რასაც გონიერების ნატამალი მაინც აცხია, იქ სადა კოლოტი აუყუდებულა ბომონად, ხელისოდენა ადგილიც ხომ არა აქვს მუცლის ლხინსა და ნადიმს...

**

მაგრამ კმარა, კმარა, თორემ კვლავ შემომწყრებიან ჩემი მკითხველები: ღვინო ჭმურს ჩვენთვის, ჩვენი ლხინი და ნადიმი არ ემეტება და შური და უბედურება ენატრებაო. აი სწორედ ასე მიგიყინა ამას წინად ერთმა ჩემმა მკითხველთაგანმა,—ბ ნმა გაგაიამ. წერილი მოიწერა რისხვისა და მუქარისა პირდაპირ რედაქტორთან და ამასთან თავიც მოიბოდიშა. აი რას იწერება გულ-ფიცხელი მკითხველი:

უფალო რედაქტორო! წავიკითხე მე-53 №-რის „ივერიაში" დაწერილი უფ. დუშიკოსი. ძალიან გული დასწყვა ლოთებისთვისა და საწყლებისთვის. თითონ რომ პალტოზე პალტო ჩაუცვამს, კალოშებზე კალოში და ქუდზედაც ქუდი დაუხურავს, რა გუყოთ. ჩვენ უსწავლელი კაცები ვართ, არ ვიცით, კატას რამდენი კბილი აქვს.. თითონ განათლებული კაცია, საწყალის კაცის შვილი-კი იზრდება, თავზედ თამბახს იდგამს, ბოლოკს ჰყიდის, განა არ შეუძლიან, რომ მკლავი დაუჭიროს და თავისავით გაანათლოს; იწერება, თუ მარხვას ინახავენ და ითვრებიანო. ვითომ ვინც მარსვასა სჭამს არ ითვრება? შეჰშურებია ჩვენთვის სამ-აბაზიანი ღვინო! თითონ ბოთლს მანეთიანსა სვამს, ჩვენ ვეუბნებით რასმე? იქნება ჩვენი სიმდიდრე და სწავლა ის სამ-აბაზიანი ღვინო არის. ლოთებს ნუ დასცინის ტყუილად, რადგან ლოთისა და საწყალ-კაცების ძარღვებით იკვებება და სულიც იმათგან უდგია.

დიაღ, კუჭის მრწამსი ძლიერი სათაყვანებელი ბომონია და არაფრად ეჭაშნიკება ადამიანს, როცა ეტყვიან, რომ მუცელი შენს ქვეით არის და არა შენს ზევითაო. რა გაეწყობა! ეხლა ალბად ადაგი უცვლია: კუჭი ტვინის თაროზედ შებრძანებულა, გამეთაურებულა, თავისი ბატონი-კი დაუწისლავს და ქვეშ მოუქცევია. ან ჩვენ რაღა დაგვრჩენია იმის მეტი, რომ პოეტთან ერთად არ გავიმეოროთ:

ვაი საწყალს და ბნელს მხარეს,
სად ძმა ძმაზედ ჰლესავს კბილებს,
სადაც მხოლოდ კუჭის მრწამსი
გასჯდომია თვით უმაწვილებს!..

დუშიკო

## სხელდახელოდ

(ყბად-ასაღებ წყალ-წასაღებ ამბის მაგიერი)

ამბავი, რომლის გამოც საუბარი უნდა გაგიმართოთ, სატირალიც არის და საცინარიც, ყბად-ასაღებიცა და ყურადღება მისაქცევიც, წყალ-წასაღებიცა და ხელ-მოსაჭიდიც. მაგრამ ეს რა ჩემი საქმეა. მე როგორც შევიძლებ და მოვახერხებ, ამ ამბავს გიამბობთ და შემდეგ თქვენ იცით; გნებავდეთ იცინეთ, გნებავდეთ იტირეთ, გნებავდეთ ყბად აიღეთ და წყალს გაატანეთ და გნებავდეთ დაუფიქრდით, ხელი ჩასჭიდეთ და ყურადღება მიაქციეთ! ამის შემდეგ, რასაკვირველია, მკითხავთ, რა არის ისეთი ამბავი, რომელიც ასეთს ალიაქოთს ახდენს და ერთსა და იმავე დროს ამდენს ერთმანეთის წინააღმდეგ საგანს გამოიწვევს ჩვენს სულსა და გულშიო. მოითმინეთ, ბატონო, ვიდრე ამას გეტყოდეთ, პირობა მომეცით, რომ რაც გიამბოთ, დაიჯერებთ და მეც ჩემის მხრით სიტყვას გაძლევთ, რომ თუმცა ძნელად დასაჯერებელი, მაგრამ მაინც ნამდვილი და სარწმუნო ამბავი მოგახსენოთ.

ჩვენს ქვეყანას ერთი იმისთანა კუთხე აქვს, რომელიც რომ სხვაში ყველაფერში გაამტყუნოთ და ბევრი ნაკლი და აუგი შეაწამოთ, სწავლა-განათლების საქმეში ვერაფერს ვერ ეტყვით, რადგანაც რამდენადაც ღონე შესწევს და, ასე გასინჯეთ, რამდენადაც ღონე არ შესწევს, ცდილობს სწავლით შეიარაღდეს და უმეცრებას თავი დააღწიოს. იქ ყველამ კარგად იცის, რომ „სწავლა სინათლეა და უსწავლელობა სიბნელე". ყველა იმის ფიქრსა და ზრუნვაშია, რომ სიბნელეს გაექცეს და სინათლეს შეეკედლოს. ეს კუთხე გურიაა. ვიტყვით გადაუჭარბებლად და გაუზვიადებლად, რომ სწავლის სურვილი გურულებს მოთხოვნილებად აქვთ გადაქცეული. ეს მოთხოვნილება, ეს სურვილი ჯერჯერობით, რასაკვირველია, ნორჩია და დიდი ხელის შეწყობა, დიდად ხერხიანი, დიდად უნარიანი ძიძაობა და ლოლიაობა უნდა, რომ გაიზარდოს, გაივსოს, გაძლიერდეს და გაღონიერდეს. ხოლო თუ ამ თავითვე ამ ჯერ კიდევ ფეხ-აუდგმელს საქმეს ნაცვლად ხელის შეწყობისა, დაბრკოლება შეახვედრეს, ნაცვლად ლოლიაობისა და ძიძაობისა თავში უპარტყუნეს, შენი მტერია, რაც ის ვერ გაიზარდოს და ვერ გაძლიერდეს.

რაღა თქმა უნდა, ამ სიტყვებზე თქვენ გაიცინებთ და გულ-დამშვიდებით მეტყვით, რომ მაგის დარდი ნუ გაქვს, ეს ისეთი საქმეა, რომელსაც ნაფიცი ძიძა და ლალა ჰყავთ მიჩენილი და როგორ შეიძლება, რომ რამე უსიამოვნება იყოს აქ მოსალოდნელიო. ეს რომ ასეა, მეც ვიცი; ვიც-

| | | |
|---|---|---|
| 7. | სპარსული . . . . . | 1—20 |
| 8. | პოლშური . . . . . | 1—„ |
| 9. | არაბული . . . . . | 1—„ |
| 10. | სომხური . . . . . | 1—„ |
| 11. | ებრაული . . . . . | „—70 |
| 12. | ფრანგული. . . . . | „—60 |
| 13. | გერმანული . . . . | „—50 |
| 14. | ინგლისური . . . . . | „—50 |

ქართული დაბადება სრულიად არ მოიპოვება ამ წიგნთ-საწყობში. მიზეზი ამისი ეცოდინება მხოლოდ ადგილობრივ სასულიერო მთავრობას.

ესევე ბრიტანიის საზოგადოება ახალს აღთქმასაც ჰყიდის, სხვა-და-სხვა ენაზედ დაბეჭდილს, ამ ფასად:

| | | მ. კ. |
|---|---|---|
| 1. | თურქული . . . . . | „ 50 |
| 2. | ლათინური . . . . . | „—50 |
| 3. | იტალიური . . . . . | „—40 |
| 4. | ჩინური . . . . . . | „—40 |
| 5. | სირიული. . . . . . | „—40 |
| 6. | ესტონური . . . . . | „—30 |
| 7. | ლათიშური. . . . . | „—25 |
| 8. | ქურთული . . . . . | „—25 |
| 9. | ბოლემური . . . . . | „—15 |

ბრიტანიის საბიბლიო საზოგადოებამ 1879 წელს დაჰბეჭდა „კავკასიაში ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადობის ნება-დართვით", რაოდენსამე ათას წიგნად ახალი აღთქმა და დავითნი იმავე ქ. ტფილისში ნამესტნიკის სტამბაში, და ამავე დროს ჰყიდის ბევრად იაფად შედარებით კანტორასა და თვით ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების მიერ დაბეჭდილ წიგნებთან. საკითხავი და საყურადღებო ამ საქმეში ის არის, თუ რამდენ გვარად ჰბეჭდავს ბრიტანიის საზოგადოება თავის წიგნებს? დასაკმაყოფილებლად მკითხველის მრავალ-გვარ საჭიროებათა, აღნიშნულმა საზოგადოებამ დაჰბეჭდა ოთხ გვარად და თითოეულს მათგანს დაუნიშნა ორგვარი ფასი, რათა ამით შესაფერად დააკმაყოფილოს მოთხოვნილება, როგორც შეძლებულისა, ისე შეუძლებელის მსყიდველისა. აი ოთხივე გვარი აღნიშნულის წიგნებისა და მათი ორ-ნაირი ფასი:

| | მ. კ. | მ. კ. |
|---|---|---|
| ა) ახალი აღთქმა ფსალმუნით . . . | „—50 | 1—„ |
| ბ) მხოლოდ ახალი აღთქმა . . . . | „—40 | „—65 |
| გ) მხოლოდ სახარება . . . . . . . | „—25 | „—45 |
| დ) დავითნი . . | „—20 | „—30 |

სამის წლის ვაჭრობის შემდეგ, აღნიშნულმა ბრიტანიის საზოგადოებამ უფრო ზედ-მიწევნით შეიგნო მკითხველ საზოგადოების ვითარება და ამისთვის ხელ-ახლად დაბეჭდა დავითნი და ოთხი მახარებელი ცალ-ცალკე 1883 წელს, ი. მარტიროსიანცის სტამბაში; ფასი-კი უფრო მცირე დაუნიშნა, სახელდობრ 10 კ., ხოლო თითოეულს სახარებას 5 კაპ. თუმცა ბრიტანიის საზოგადოებას რამდენიმე ათასი წიგნი დაუბეჭდია სახარებისა 1883 წ., მაგრამ ახლა დარჩენილი აქვთ მხოლოდ 80 ცალი მათესი და მარკოზისა; სრულიად გაყიდულა ლუკასი და იოანეს სახარება.

ამ მოკლე მიმოხილვიდამ სჩანს, რომ ჩვენს სამისსიონერო საზოგადოებას ქრისტიანობის აღდგენისთვის კავკასიაში მხოლოდ ამ ბოლოს ხანს, სახელდობრ 1876 წელს, მიუქცევია ყურადღება ბრიტანიის საზოგადოების თხოვნისა და შუამავლობისთვის და ნება დაურთავს, რათა ამ საზოგადოებას დაებეჭდა მხოლოდ ახალი აღთქმა და ფსალმუნი მხედრულის ასოებით. რა უნდა ყოფილიყო მიზეზი ამისთანა დაგვიანებისა? ნუ თუ ბრიტანიის საზოგადოება ესკიმოსებისთვის-კი ცდილობდა შეედგინა ანბანი, გადაეთარგმნა დაბადება, დაებეჭდა და იაფად გაევრცელებინა, და ამავე დროს ქართველები-კი დავიწყებული ჰყავნდა, ქართველები, რომელთაც მეოთხე საუკუნეში ქრისტიანობა მიუღიათ, მეხუთეში თავის ენაზედ დაბადება ჰქონიათ, მეათეში ხელმეორედ უთარგმნიათ, მეთვრამეტეში დაუბეჭდიათ ხუცურად. ჩვენის ფიქრით, ეს გარემოება, თუ სამწუხარო არა, ფრიად საყურადღებო მაინც არის. რამდენადაც ამ საქმის ვითარება ვიცით და შევიტყვეთ, ბრიტანიის საზოგადოება ამაში სრულებით უმანკო და თავის მოვალეობის პატიოსნად აღმასრულებელი. მხოლოდ ჩვენი უვიცობა და უკუღმართობა ყოველს სასარგებლო შრომაში არის ჩვენი დამღუპავი და ხელის შემშლელი. ბრიტანიის საზოგადოებამ, როგორც გაგვიგია, მესამოცე წლებში მიჰმართა ტფილისში ერთს ნასწავლს და ქართულ-რუსულ-ბერძულ-ლათინურ-და ებრაულ ენების მცოდნე სასულიერო კაცს და სთხოვა, რათა მიეღო შრომა და ქართული დაბადება ადვილ გასაგონ ენაზე გადაეღო. ჯილდოდ ამისთანა შრომისთვის აღნიშნულმა საზოგადოებამ აღუთქვა თურმე 10,000 მან., მაგრამ ამ მოძღვარმა არც თვით იტვირთა ესეთი მძიმე საქმე და არც თავის თანამოძმეთა განუზიარა ეს საყურადღებო ამბავი. რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა აღნიშნული სასულიერო კაცი, რომ ბრიტანის საზოგადოების წინადადება ასე უყურადღებოდ დასტოვა, ჩვენ ამის გამოკვლევას არ შევუდგებით, მაგრამ ეს ფრიად სასარგებლო და ყველასთვის საყურადღებო საქმე-კი შეფერხდა, ვერ შესრულდა. შემდეგ ამისა, თუმცა საკუთარმა კომისიამ განიხილა ქართული „დაბადება" და მოამზადა დასაბეჭდად, მაგრამ ქრისტიანობის აღმადგენელმა საზოგადოებამ თურმე დაბეჭდვის ნება არ დართო აღნიშნულს ბრიტანიის საზოგადოებას, რომელიც უკეთესადაც დაჰბეჭდავდა და იაფადაც გაჰყიდდა.

აი ასეთს მდგომარეობაში იყო ზრუნვა საღმრთო წიგნების გაიაფებისა და გავრცელებისა ხალხში.

(შემდეგი იქნება)

ნოზ თქვენგან დასახელებულს ძიძასა და ლალას, ვიცნობ საქმეთა მათთა და ეს არის მიზეზი, რომ ვსწუხვარ მაშინ, როდესაც თქვენ იცინით და ჩემი წუხილი უადგილოდ გგონიათ. დაგარწმუნებთ, რომ თქვენი სიცილი ამ შემთხვევაში უადგილოცაა და უსაფუძვლოც, ხოლო ჩემს წუხილსა და ჩივილს ადგილიცა აქვს და საფუძველიც.

ხომ მოგეხსენებათ, რომ ამას წინად გურიაში საერო წიგნთ-საცავის დაარსება განიზრახეს და განზრახვის ასრულებასა და საქმედ ქცევასაც შეუდგნენ. ამ დაწესებულების საჭიროება ყველას ჰქონდა შეგნებული და ამიტომ ყოველის მხრიდამ თანაგრძნობა და შემწეობა აღმოუჩინეს. ცოდნისა და წიგნის მოყვარე გურულებმა მხოლოდ იმის შესახებ ასტეხეს ლაპარაკი, თუ სად დაეარსებინათ ეს სასურველი დაწესებულება; რასაკვირველია, ყველას თავის სოფელში, თავის მახლობლად უნდოდა. ეს ამბავი რამდენადაც სამწუხარო იყო, ორ-იმდენად სასიხარულო, რადგანაც იმედს იძლეოდა, რომ ახლოა ის დრო, როცა ყველა სოფელი სკოლასთან ერთად საკუთარის წიგნთ-საცავის გამართვასაც მოინდომებსო. ასე თუ ისე მოთავსდნენ, მორიგდნენ და გადასწყვიტეს, სადაც უნდა გაემართათ წიგნთ-საცავი. შეადგინეს წესდება, მოუყარეს წიგნებს თავი და, აი, ელიან, წიგნთ-საცავი გაიმართებაო. გადის დღე, თთვე, შეიძლება წელიწადიც გაიდეს, მაგრამ წიგნთ-საცავი არსადა სჩანს. ალბად ისინი, ვინც არიან მიზეზნი წიგნთ-საცავის გამართვის ასე დაგვიანებისა, ფიქრობენ რა საჭიროა წიგნთ-საცავი იქ, სადაც წიგნები უიმისოდაც გავრცელებულიაო. თქვენ თითონ წარმოიდგინეთ ეს დაგვიანება რამდენად გულ-დამწყვეტი და საწყენი იქნებოდა იმათთვის, რომელნიც, ვინ იცის, რამდენს ეშურებოდნენ და ეკამათებოდნენ ერთმანეთს, რომ არა ჩემს სოფელში სჯობია წიგნთ-საცავის გამართვა და არა ჩემსაშიო. წარმოიდგინეთ, რამდენათ ავნებს და აზარალებს ეს დაგვიანება სწავლა-განათლების ხალისსა და სურვილს. ახლა უეჭველია ყველანი პირში ჩალა-გამოვლებულნი არიან და გაკვირვებულნი ეკითხებიან თავის თავს: რისთვის ავტეხეთ ამდენი ლაპარაკი და კამათი, თუ-კი არაფერი გამოდნებოდა-რაო. მათთან ერთად, ჩვენც გვიკვირს და, რასაკვირველია, თქვენც გაგიკვირდებათ, რომ „Гражданинъ“-ის მოძღვრების მიმდევარნი ჩვენშიაც ყოფილან, რომელთაც ქვეყნის სიკეთედ და ბურჯად ერის განუვითარებლობა და უვიცობა სწამთ. საკვირველია და სატირალი ეს ამბავი, მაგრამ რათა?

კარგი რამ გვჭირდეს, გიკვირდეს,
აკი რა საკვირველია!

**

რასაკვირველია, რომ სადაც წიგნთ-საცავის დაარსებას ასეთის მრუდე თვალით უყურებენ, იქ არც წიგნებს ემოყვრებიან. მაგრამ წიგნიც არის და წიგნიც! მოწონებული და ჩვენს სასოფლო სკოლებში სახელმძღვანელოდ დადებული წიგნი დაუწუნებიათ, აზრუ-გაუტეხიათ და ხმარებიდამ გაუდევნიათ. მოგეხსენებათ, რომ „Русское Слово“ განათლების სამინისტრომ მოიწონა და ჩვენს სკოლებში სახელმძღვანელოდ დანიშნა. მაგრამ იმათ, რომელთაც, როგორც ვიცით, არც უნარი აქვთ წიგნის დაფასებისა და არც უფლება მოწონებ-დაწუნებასა და რომელნიც, როგორც ხელ-ქვეითნი, ვალდებულნი არიან ხელ-ზევითთა განკარგულებას დაემორჩილნენ, გაკადნიერებულან და „Русское Слово“-ს წინააღმდეგ გაულაშქრნიათ. ჯერ-ჯერობით ძლიერ მოსილებაც იმათკენ არის, მაგრამ იმედი გვაქვს, რომ ვინც ეს წიგნი მოიწონა, იგივე დაიფარავს და ისევ მოწონების სახელით გამოიყვანს ქვეყანაში, თორემ, თუ ეს ასე არ იქმნა, თუ თითოეულმა სკოლამ თავისებური სახელმძღვანელო შეადგინა და თავისებურად მოჰყვა წირვას, ხომ აირიეთ, ხომ შეგვეშალა წირვაცა და ლოცვაც; ამას გარდა წიგნის მოწონება-დაწუნებამაც ხომ დაჰკარგა თავისი მნიშვნელობა და ფასი, რადგანაც ამის შემდეგ, როცა მოწონებული წიგნი დაიწუნეს, მოსალოდნელია, დაწუნებული მოიწონონ და გზა გაუკვალიონ. ამაზე მეტი ახირებულება და უცნაურება წარმოსადგენიც არ არის, მაგრამ ჩვენ მაინც კიდევ ჩვენი ვსთქვათ:

კარგი რამ გვჭირდეს, გიკვირდეს,
აკი რა საკვირველია!

დათიკო ვერმიცანაშვილი

## დეპეშა

12 აპრილი

**პეტერბურგი.** 11 აპრილს საღამოს დიდს მთავარს ნიკოლოოზ ნიკოლოოზის ძეს უფროსს ციება დაუწყო; მაჯის ცემა ჰქონდა 100, სიცხე 39°, ხოლო სუნთქვა 50. დასუსტებულია, ძილი ისევ მოუსვენარი აქვს. წვნიანსა მიირთმევს და იმასაც მცირედ. დილით სიცხე 38,6 ჰქონდა, მაჯის ცემა 88, ხოლო სუნთქვა 32.

ლისაბონელი ელჩი გადაყვანილ იქმნა, ბუქარესტში, ბუქარესტელი-კი ლისაბონში.

„Новое Вр.“-ს გაუგონია, რომ რუსეთისა და ჩინეთის სავაჭრო ხელ-შეკრულება მაისში იქნება ხელ-მოწერილიო.

პეტერბურგში საფუტკრო გამოფენის გამართვა ნება-დართულია 31 ოქტომბრისათვის.

გაზეთები ამბობენ, რომ არაყის გამოხდელთა თათბირი გათავდა და გადასწყვიტეს, 15 აპრილიდამ ვედრაზე 40 კ. მიუმატონ, ასე რომ ამის შემდეგ ვედრო 6 მ. და 40 კ. ეღირებაო.

**ათინა.** ოფიციალურს წრეებში სარწმუნო წყაროებიდგან შეტყობილი ხმა დადის, რომ ბოლგარიას განზრახვა აქვს პრინც ფერდინანდის ფორმალურად ბოლგარიის კანონიერ მთავრად გამოცხადება მოსთხოვოს პორტას და, თუ უარი მიიღო, დამოუკიდებლობას გამოაცხადებსო.

**ლონდონი.** ლორდთა პალატაში მარკიზ სალისბერიმ განაცხადა, რომ პორტუგალიის მთავრობამ ბრძანება გასცა მდინარე პუნგუეზე ნაოსნობას ნუ დააბრკოლებთო, მაგრამ, რადგანაც პორტუგალიის მოხელეთა ყოფა-ქცევა აფრიკაში ხშირად სულ სხვა გვარია და არა ისეთი, როგორსაც ლისაბონიდამ გვპირდებიან, ამიტომ ინგლისის მთავრობამ მდ. პუნგუეზე სამი სამხედრო ხომალდი გაგზავნაო.

## პეტერბურგის ბირჟა, 12 აპრილი.

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გარიგებანი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო | 6 74 | 6 76 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები | 134 3/4 | 135 1/4 | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | 1 03 | 1 05 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — „ | — „ | 245 |
| — მეორისა | — „ | — „ | 225 1/2 |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი | 216 3/4 | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა | — „ | — „ | — „ |

## სამოსამართლო პალატა

სხვათა-შორის შემდეგი საქმეებია გასარჩევად დანიშნული:

16 აპრილს

ა) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილებისა გამო კაზიმირ კურსკისა, რომელიც უჩივის სურამის გვირაბის გასაყვანად დაარსებულს გამგეობას 10,000 მანათს.

ბ) სააპელაციო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ თ.-კ. ვახტანგ ორბელიანის ქვრივის საყვარელიძისა, იმის გამო, რომ ვლადიმერ ჯამლიუხინი ედავება გარდაცვალებულს კ. ორბელიანის მემკვიდრეებს ფულსა და ჯარიმას გირავნობის ქაღალდით.

გ) კერძო საჩივარი თომა საითფოვისა იმის გამო, რომ ტფილისის ოლქის სასამართლო ჩემს საქმეს შეუძლებლობის შესახებ აგვიანებსო.

დ) კერძო საჩივარი ტფილისის ოლქის სასამართლოს გარდაწყვეტილების შესახებ ივანე მაისურაძისა, რომელიც სჩივის საითფოვის ფულების განაწილების გამო მოვალეთა შორის.


## განცხადებანი

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ნაკვთები**

დ. ერისთავისა

ფასი 50 კაპ.

ისყიდება „წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

**ცვარი**

საყმაწვილო სურათებიანი ლექსთა კრებული შ. მღვიმელისა, გამოც. ელ. ტატიშვილის მიერ. სურათები და მორთულობა ამოსჭრა გრ. ტატიშვილმა.

ფასი 30 კაპ.

გამოვიდა და ისყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

**ბორკილი**

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. | |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | | 5 „ . . . | 5 „ 25 „ | |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | | 4 „ . . . | 4 „ 70 „ | |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | | 3 „ . . . | 3 „ 50 „ | |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | | 2 „ . . . | 2 „ 50 „ | |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | | 1 „ . . . | 1 „ 75 „ | |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

**Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.**

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე —40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ვეღარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-და საბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.

საფრანგეთის საზოგადოება სიცოცხლის დაზღვევისა

„ურბენი“ (L'URBAINE)

უმაღლესად ნება აქვს დართული 2 ივნისს 1889 წელს იმოქმედოს რუსეთში.

საზოგადოების მოქმედებას მთავრობა მუდმივ თვალ-ყურს ადევნებს და კონტროლს უკეთებს.

საზოგადოება „ურბენმა“ 1890 წელს საფრანგეთში და ევროპის სხვა სახელმწიფოებში დააზღვევა 50.000,000 ფრანკი.

ს.-პეტერბურგი, ნევის პროსპექტი, № 13.

საზოგადოება „ურბენი“, ნაცვლად მოგების მიცემისა, დაზღვეულთ ავადმყოფობის დროს ანთავისუფლებს კადიან გარდასახადისაგან და პოლისს-კი ძალა არ ეკარგება.

უმთავრესნი წარმომადგენელნი საზოგადოებისა ამიერ-კავკასიაში არიან პოლაკი და ამხ., ტფილისს, გრაფის ქუჩაზედ, თ. ჭავჭავაძის სახლში, „სევერნი ნომრების“ გვერდით.

წესდება და პირობის ფურცლები მსურველთ უფასოდ გაეგზავნებათ.

(20—8)

ცენტრალური საგალანტერიო მაღაზია

**პ. ი. ბროდსკისა**

(ერევნის მოედანზედ, სემინარიისა და სკვერის პირ-და-პირ, ზუბალოვის სახლში)

რადგან ამ მაღაზიაში ვაჭრობა ისპობა, საბოლოოდ იაფად ისყიდება ბევრნაირი საგალანტერიო და ახალ-მოდის საქონელი და საოჯახო ნივთეულობა. ბევრია: ჯერსე, კორსეტები, ქოლგები, ბრშიების კასინკები, ოსმეტიური ნივთები, ლამპები, ჭურჭლეულობა და სხვ.-და-სხვ.

ქალაქს გარეშე მყიდველებისათვის ჩემი სავაჭრო გადავიტანე შუა-ბაზრის შესავალში, შიოევის სახლებში, სადაც წინად მერაბოვის მაღაზია იყო.

(10—8)